კვირა, 22 ოქტომბერი

ფასი 10 კაპ.

მათრახი

და სალამური

№ 24

ყოველ-კვირეული, იუმორისტული ჟურნალი

ნეტავ იცოდეთ გაზეთი
ხშირად რა განსაცდელშია!
ვთქვათ აგენტურა ჩავარდა
ერთ-ერთი ჩარჩის ხელშია,

რამდენიც უნდა იწვალო,
ვერ გასწორდები წელშია.
ქვეყანამ იცის მიხაილ
რა გამოცდილი ჩარჩია,

რაღა ბევრი ვთქვათ, გაგჩეჩავს
თუ მსხვერპლათ გამოგარჩია!
ქართულსა ჟურნალ-გაზეთებს
ის ფლობდა პირველ თავათა,
მაგრამ რა? იმ უბედურებს
ტყავი არ შერჩა ტყავათა.
მზა მზარეულსა გაზეთებს
თავს დასჩხაოდა ყვავათა,
ჰკორტნიდა, აძვალტყავებდა
და სპობდა სანახავათა.
მაგრამ მიეცა საშველი
გაჩეჩილაძის ყვანჩალსა,
უცებ მეტოქე, მოქიშპე
წარმოევლინა საწყალსა.
შეიქნა ბურხლი... იბრძვიან..
ჯერ მეტს ნუ ვიტყვით ნურასა:
ვნახოთ ვინ სძლევს და დაირჩენს
თფილისის აგენტურასა.



ეშმაკის ინტერვიუ.

ივან მიხეილიჩ ანდღულაძოვთან.

ვიცი ჩემი მკითხველის ახირებული ზნე,—უთუოდ იკითხავს: კაცო ვინ არის ეგ ივან მიხეილიჩი და ისიც ანდღულაძოვი, რომელიც ინტერვიუს ღირსი გაგიხდიაო?

იკითხავს და მეც მზათა ვარ საპასუხოთ!

1889 წლის მაისში, გურიის სოფელ ასკანაში, გლეხის მიხეილ ანდღულაძის ოჯახში დაიბადა ბავშვი, რომელსაც შემდგომად წმინდა ნათლის-ღებისა ეწოდა სახელი ივანე. შვიდი წლის ვანო ადგილობრივ სკოლაში მიაბარეს და ბავშვობაშივე გამოიჩინა უშრეტი დრეკილება ეგრეთ წოდებულ დურმიშხანობისადმი. მაგრამ მისი ფართე ბუნება ვერ შეეწყო ასკანის მთა გორიან მოხაზულობას და იძულებული გახდა ბათუმში გადასულიყო, სადაც სახელმწიფო ხარჯით დაასრულა ერთ-ერთი სასწავლებელი. შემდგომ ამისა გაემგზავრა ოდესაში სწავლის განსაგრძობათ, მაგრამ ერთი წლის შემდეგ ისიც მიატოვა და მასწავლებლის სამსახურს დაეძალა. საუბედუროთ მისი ბუნება ვერ შეეთვისა ამ კრამოლნიკურ მოღვაწეობას და უკუ იჯმნა. ის შევიდა სახელმწიფო სამსახურში ე. ი. ფოსტის მოხელეთ და აი აქედან იწყება მისი დიდების ხანა, რომელმაც ის მიიყვანა „ჭეშმარიტ-რუსთა კავშირის“ ნოვოსელოვის განყოფილების თავმჯდომარეობამდე.

მაშასადამე, არც ისე პატარა საფრთხობელასთან გვქონია საქმე! ანდღულაძე ღმერთს ქვეყნად ბევრი გაუჩენია, მაგრამ ივან მიხეილიჩი იმათში ერთად ერთია!

— კაკ ვაშა ფამილ?

ხრინწიანის ხმით შემეკითხა ივან მიხეილიჩი და თვალი ამავლ-ჩამავლო. მაშინვე შევატყვე, რომ სადღაც „პარტიული კრებიდან„ დაბრუნებულიყო, რადგან არაყის სუნი სამ საჟენზედა სცემდა მისი პატივცემული გვამისაგან.

— ჩემი გვარი, ბ-ნო, ეშმაკურიძე გახლავთ.

— სულ ერთია, НАПЛЕВАТЬ! ჩავო ხოჩიშ?! ა?

— ნიჩავო, შენი ჭირიმე; ისე, გავიგე თქვენი აღმატების ამბავი და მოვედი სანახავათ. კაკ ვი ზდეს პაჟივაიშ? ა?

— კარგი! დაჟედი. სადაური ხარ?

— ასკანელი ბ-ნო!

—ბიჭოს, ზნაშიტ მაია ზემლიაკ! ეეხ, მერზავჩიკ!

ცხადათ სჩანდა, რომ „ჭეშმარიტ-რუსთა“ თავმჯდომარეს ძლიერ ესიამოვნა ჩემი ნახვა. მართალია ის ამ დროს, პარტიული მოღვაწეობით მოქანცული, ფეხზე ვეღარ დგებოდა და უპარტიო ინტელიგენტსავით ხან ამკუთხეს, ხან იმას ელეწებოდა, მაგრამ მისი გაწითლებული სახე უტყუარი მოწამე იყო გულწრფელი სიხარულისა და კმაყოფილებისა.

— როგორ ცხოვრობს მამა ჩემი ა? კიდევ აშუშავებენ ჩვენებური სოციალ-დემოკრატები? ა? ია იმ პაკაჟუუუ.. ია იმ...

— რასა ბრძანებთ, ბ-ნო თავმჯდომარევ, ვინ სოციალ-დემოკრატები, რის სოციალ-დემოკრატები!

— ზნაიმ ია ბრატ! ჩვენი მოტყუება არ შეიძლება. რაკი იმას სწამს დიდება მაცხოვარისა და არა სწამს დიდება მარქსის მოძღვრებისა, ჩვენი ასკანლები მას ამუშავებენ, როგორც უბრალო გლეხს, როგორც მუჟიკს! ეტო რაზვი მოჟნა, ეტო რაზვი მოჟნა!!! იციან ის ვინ არის?! ის მამა ჩემია! და იციან მე ვინ ვარ? მე იმის შვილი ვარ! ია პრიდსიდეტელ სოიუზა რუსკოლო ნაროდუ! პონიმაიშ ვი! ა?

მე ენა ჩამივარდა. ვიფიქრე თუ გიწერია აღსასრული, სწორეთ ახლა მოგივიდა, ეშმაკო, მეთქი. „რუსული სოიუზის“ თავმჯდომარე სწორეთ შევიდა როლში და ერთობ წამოიზიდა ჩემსკენ.

— შტო ვი ღოვორიშ ღოსპუდინ პრესეტადელ, შტო ვი ღოვარიშტ, რაზვი მი ნი ზნაიმ ვაში დელი?

— აპა თუ იცი, ძამიავ, ქე ქენი რავარც გიჩივი. უცებ გამოიცვალა კილო მათმა უთავმჯდომარეობესობამ.

—რო არბეინებენ საწყალ ბერიკაცს, რავა ვერ გეიგეს, რომ მე სახენწიფო სამსახურში ვარ, ჩემი ძმა პოლკონიკათ მსახურებს და მე კიდო რუსეთის თავმჯდომარე ვარ? მე უჩვენებ იმგენს თუ ახლა კიდო შეაწუხეს ბერიკაცი. ყველას გადავასახლებ.

— მერმე რა ასკანლების ბრალია?

— ვინცხაის ბრალია ეტო სეროვნა, მე მთელ ადმინისტრაციას გამოვყრი, პურიშკევიჩი ჩემი მარჯვენა ხელია, იცი მარჯვენა, ჩვენ ორუე მემარჯვენეები ვართ.

— თუ ასეა პოჩემუ ვამ პისმ ნიპიშიტ?

— ხტო? ვალოდია? შტო ვი გოვარიშ! სამი ტაკოი პრაცკი პისმ პიშიტ, რომ გაგიკვირდება.

— ადიწ პისმუ ონ დუმბაძუ ნაპისილ, არა?

— კაკოი დუმბაძუ, რას ლაპარაკოფ, მე ყოველ დღე მწერს, ია ტვაი ლიუბიშჩი ბრატო.

სწორეთ გამიჭირდა ამდენი რუსული და გადავსწყვიტე ივან მიხეილიჩის გული ცოტა მომელბო და მომექართულება.

— მომავლისთვის რას აპირობს, ბ-ნო ივან, თქვენი სოუზი?

— ოოო! ჩვენ დიდი საქმენები გვიდგანა წინ!! კავშირი ახლა ადგენს ადრესებს რომ დუბროვინი დეინიშნოს დუმის თავმჯდომარეთ. მე იმისი ხელით ნაწერი წერილი მაქ. ის ჩემთან ძმასავით არის. ახლა ყორიფელი ჩვენ ხელშია. რაც გვინდა იმას ვიზამთ.

— რასაკვირველია თქვენ ხელშია და კიდეც იზამთ.

— გუშინ „ჩაინაში“ იმაზეც იყო ლაპარაკი, რომ საფრანგეთს ტყულა მივეცით ანტამონია. ვსიო ზარაზ! ყველაფერი ერთნაირათ უნდა იყოს. მალე წავართუმთ ნუ გეშინია.

— ინგლისს რაღას უპირებთ, ივან მიხაილიჩ?

— ინგლის ნაშ; ინგლის რა ბუზებია. ინგლის ნაშა ადელენია. ნაპლევატ ნა ინგლის!

— გერმანიას?

— კაკოი გერმანია ჩერმანია! ჩვენთვის სულ ერთია. სკაჟიტ სოუზ, ნე ბუდიტ გერმანია!

— კავკასიას ეროობას მისცემთ?

— ხე-ხე ხე! კაი ჩორტ, რის ეროობა-ბეროობა! აი ბეროობა მართალია მართლა ნუჟნი დატ. ქრისტეს მცნებამ უნდა გაიმარჯვოს; აბა! ჩემი ძმა და მე ტყვილათ ვყოფილვართ სახემწიფო სამსახურში, არა? ია ხტო ტაკოი, ა? ხტო ია ტაკოი? ია პრისიდიტელ სოუზა რუცკვო ნაროდზე, გესმის შენ...

კარგი რომ არაფერი მომელოდა ცხადათ ვხედავდი და ვარჩიე ინტერვიუსთვის ბოლო მომელო. ჩემს ბედზე ერთი „წევრი განყოფილებისა“ შამოვიდა, ივან მიხეილიჩი გარეთ გაიხმო და რაღაცაზე საიდუმლო საუბარი გაუმართა ალბათ საფრანგეთის ანტაგონიზე. მეც ვიდროვე ავიწყვე ფრთები.

უკან შებრუნებულ ივან მიხეილიჩს, რომ იქ აღარ დავხვდი, ძლიერ გაუკვირდა. მეორე დღეს „პარტიულ კრებაზე“ ყველას არწმუნებდა:

„ღასპოდა ვეჩერა ია ვიდილ ანგელოზა ის ნაშელო კრაი, ნასტაშჩაღო ანღელოზა. ონ მინე გოვარილ პობრაკი...

მთელი „კრება“ აღტაცებით შეეგება ამ სასწაულს და პატივცემულ თავმჯდომარეს „შეშარიტ რუსთა“ კავშირის ნოვოსელის განყოფილებისას, ივან მიხეილიჩ ანდღულაძოვს, წმინდანთა შორის შერიცხვას პირდებოდა.

ეშმაკი.



*
* *

ბედმა ტალახის-გუნდა მესროლა
ბნელის კუთხიდგან, ავაზაკურათ.
მე ეს პირველი კი ავიცდინე
და ისევ დავრჩი კაცი-კაცურათ,
მაგრამ შემდეგ ის მეორეს მესვრის,
შემდეგ—მესამეს, მერე-კიდევ სხვას...
წინ და წინ ვიცი, არ მომასვენებს,
თავზე დამატეხს ულაზღვრო რისხვას!..
გავიქცე!.. არა... ჩემებრ დევნილო,
მოდი და ძმურად მომეცი ხელი!
ერთად ვიბრძოლოთ და... გავიმარჯვებთ,
ან და... გვიმსხვერპლებს ცხოვრების ველი!..
სუსტი ყოველთვის შეეწირება:
ეს ხომ ცხოვრების კანონ წესია!
და ჩვენც ცალ-ცალკე არ უნდა ვიდგეთ:
ერთად თუნდ დაეწყდეთ, უკეთესია!..

ნ. ზომლეთელი.

დეპეშები.

(სამეგრელოს სააგენტო)

ბანძა ადგილობრივ მთავრობის ნებართვით დაარსდა „მკითხავ ქალთა პროფესიონალური კავშირი“. თავმჯდომარეთ გუდუ დანელია აირჩიეს.

ძველი-სენაკი. ევსევი ხოფერია შეთანხმებულა დირექტორთან, რომ წელიწადში მხოლოდ სამჯერ გამოიცვალოს მასწავლებელი.

ახალ-სენაკი. სპირიდონ ენუქიძე ლოგინათ დაეცა. მიზეზი საოლქო მზრუნველის უკმაყოფილოდ წასვლაა. ფილიპე გულ შეწუხებულია სპირიდონის ავათმყოფობით.

აბაშა. „მედიცინის ფერშალი“ აბულაძე ახლო მომავალში ლექციას წაიკითხავს ამ თემაზე: „რამდენად საშიროა ფერშლისთვის ნაოდია—ხეოექარი, როცა ფერშალს ფერშლობისა და რეცეპტების წერისა ვრა გაეგება რა“.

იქიდანვე. ინტელიგენტ-ყანწისტთა ჯგუფს განზრახვა აქვს შეიძინოს ერთი არღანი და გამოიწვიოს ორთაჭალის ბაღიდან ერთი მებაღეთ.

სამიქაო. მასწავლებელ ილია მიქაძეს უთხოვნია სადაც ჯერ არს, რომ მას ბოქაულის ფორმის ტარების ნება მაინც მიეცეს, თუ ბოქაულობას აღარ აღირსებენ.

სუჯუნა. მამა მიტროფანე ბლაღოჩინობაზე უარს არის.

იქიდანვე საბაშვილს განზრახვა აქვს ცალკე წიგნათ გამოსცეს ანგარიშები სუჯუნის სამკითხველოს სასარგებლოთ გამართულ წარმოდგენისა, რადგან მის მიერ გაზეთებში მოთავსებულ წერილებით არ კმაყოფილდება. ამ ანგარიშებში სხვათა შორის მოთავსებული იქნება, თუ ქანქარი სხვამ რა ნაირად შექანქა და სამკითხველო კი როგორ დარჩა პირში ჩალა გამოვლებული.

ს ა ტ ი რ ფ ო ს.

შენ იალბუზის მწვერვალზე ზიხარ
ყელ-მოღერილი, თვალებ—ელვარე
და ნათელ შუქს ფენ არემარესა,
ვით მოკაშკაშე მზე, ვარსკლავ მთვარე!
მე ფრთებ გაშლილი მოვფრინავ შენსკენ,
რომ გეამბორო ბროლის მკერდზედა,
მაგრამ გზას მიკრავს, ბოროტი სული,
ურცხვათ მითითებს ბორკილებზედა!
ოხ, როდის, როდის დავამსხვრევ იმათ,
რომ თავისუფლათ გავინავარდო,
შენთან მოვფრინდე, გადაგეხვიო,
ჩემო ედემის ია და ვარდო!

ვ. რუხაძე.

გურული სცენა.

II

— ახლა მევიდა ვთქვათ მორე ქორწილის წიგნი და კონვერტზე არ აწერია: ,,მეუღლიანეფო''. იქნება მაინძელს ქე უნდოდა მეუღლიანებ, მარა წერალს დაავიწყდა შეიქნება ერთი უშველებელი, ჩამოუშობს ქალი ცხვირს, გაკულუმბურდება, დეიწყებს ზლუქუნს: ვაი ჩემს დღეს, ვაი ჩემს მოსრებას გოგიეი ცენტერაძის ასაგდებიც შევიქენი, ყოლიკაცი დაპაიჯა და მე არ მიკადრა, მარა რაც მჭირს მე ყველაი ჩემი ქმარისაგან მჭირს, შინოურს რომ აგდებული ეყოლები გარეშე აგიგდებს აბა რას იქს, ჩემ ქმარს რომ ერთიცახე ჩემი ხათრი ქონდეს ერთი, ფინჩხა მერიდებოდეს, იქინეი რავა წავალ, იმას რავა ვეწოვი, მისლოცავს რა მუუტანს იმფერ გუუზდელს, იმფერ გუურეცხელ ჯალაბს, იმ ქვეყნის მუტაკიას ვინც ქალის დაფასება არ იცის, მე რავა ხასა ხომ არ ვეგონე უგვირგვინო, ჯვარ დაუწერელი ხომ არ ვყოფილვარ სხვა თუ კი მახსენებს ჭირში და ლხინში მაგ გუუნათლებელიზა, მაგ ფეხ დაფურეშკებულიზა, მაგ ცხვირ მუუხოცელიზა გველის წიწილი ხომ არ შემიწვავს.

— დუუწყებ ნუგეშს—მარა არ გავიწყრეს ღმერთი, ვეფერი ვერ შამუაკარო.

— რას ჩივი ბოშო გოგიეი რავა არ დ გბაჯებდა ხომ იცი მოყვარეა და ან მოყვრობით ან მეზობლობით კი გახსენებდა. მაგი უთუოდ წერილის ბრალია—ჩვენსას ქორწილზე ცოლიანათ იყო და თექვსმეტი აბაზი შეიტანა ხომ გახსოვს.

— თექვსმეტმა სახარებამ გააცხებია სული, გათხოვამდე გაასვენა მისი. შავტრუხაი, ახტაუჯაი, დაბღილული ციცაი. რავარიც კაცია იმფერი მჯღაბნელი წერალი ეყოლებოდა წერას გადაყვა, საწერელი გუუჩნდა ხელში, ილანჯუხი შეეყარა. და იმან მუუჩვინჩქვალა ორივე ხელები, მარა ან კი მას რას ვერჩი, რა მისი ბრალია, რაც უთხრეს იგი დაწერა. ყორიფეული შენი ბრალია, შენ არ გინდა მიკადრო, თვალი გამაჭყერიო ჯარში გამარონ-გამომარონია, რავაც შენ გყავარ აგდებული, დაგესხა თავზე თავსხლაფი, ისე ქე ამიგდო სხვამაც მე რომ შენს ადგილას ვიყო რავა წავალ, თუ რამე აქ მოტანილი იმის შეეშულიც კი აქ, არ შეერგო და უნელათ, წიენკალა, რაც შინ კირკლები ყავდა ყველაი მეიყვანა ქორწილში, რაც ჭამეს ჭამეს და არა დაზუბნული წევიდენ—რავაც მან აგიგდო ისე უნდა ეიგდო შენც, თუ რამე ამოტანილი, ვინცხაის ხელით გუუგზანე და წუუგდე.

აი ჩემო ძამია, ამფერი უბედურება აგიდუღდება ოჯახში ერთად ერთი ღერი სიტყვიზა. გოგიას რომ კონვერტზე დიეწერა ,,მეუღლიანეფო'' მაშინ კი

მოყვარეც იქნებოდა. ლამაზი გასათხოვიც ეყოლებოდა და ვერც დავაკლდებოდით. ახლა არ წევიდე განავალები აქ, მოყვარეა და მევიჯაყები, წევიდე და მშვიდობით გამომცხვარო ჭადო და შენელებულო ლობიავ—მშვიდობით ლამე ძილო და დღეი მოსვენებავ.

პიტნა.



შ ა რ ა დ ა.

მსურს დღევანდელი შარადა
საცინარ გეგმით ავაგო,
საცინარივე სიტყვები
მოვნახო გავაჩანაგო.
საცინელ საგანს შევეხო,
(თუნდ თავი თვისი წავაგო)
ნუ შეგაშინებთ სიძნელე,
საქმეა საამხანაგო.
ბუნების არი მოვლენა
მისი პირველი ნაწილი;
(თავშიგან მისი ვლენითა
იტანჯვის ბევრი ყმაწვილი!)
ხან მძლავრი იცის ნავარდი,
ხან ცურავს მშვიდათ, წყნარათა,
ხან ებრძვის ცას და ქვეყანას
ხან ეტრფის გასახარათა
მოსწყვიტეთ ბოლო ანბანი,
დანარჩენს მოუარეთა,
(ვინც გამოიცნოს, ნუ ისვრის
სხვის გასაგონათ, გარეთა.)
ახლა მსურს უღრან ტყისაკენ
პირი გაქნიო მე თქვენა,
იქ, ამ სოფლიდან გაჭრილი
რაღაცა ჯგუფი მეჩვენა.
ჩვენში, ამ ჯურის რაინდებს
ბევრგვარი ჰქვია სახელი,
(სიამეს ვერა გამოცდის
მდიდარი მათი მნახველი!)
ჩვენ დავიჭიროთ იმათგან
მხოლოდ ერთ-ერთი, ცალადა,
თორემ სიმრავლე, ყოველმხრივ
გაგვიხდეს ხათაბალათა.
ერთსაც გთხოვთ: ამა ტუსაღსა
ზიანი მისცეთ არარა,
რამეთუ შარადისათვის
გამოგვადგებ-ს აღარა.
ნუ გავაგრძელებთ, მესამე
ვნახოთ საჭირო საგანი...
გადასახადი რამეა
ხუცებთან შემოსატანი.
დღეს მასზე მოსთქვამს უწყალოთ
იმერელ გლეხთა კერია;
მისცეს? რა მისცეს, არა აქვს,
არ მისცეს? შენი მტერია!!!
სახლს გამოუცლის „ბოჩიკი“
მოხვდება მუშტის წვერია,
და თუ მარტო ეს აკმარეს,
ეგ კიდევ არაფერია!..
მგონია არვის დაურჩა
ნათქვამი უცნობელათა
(და თუ ასეთი ვინმეა
მათრახი უნდა ხელათა!!)
მაშ ჩაუყვეთ ისევ შარადას,
ჯერ ბევრი რამე გვაკლია,
მე ვფიქრობ ამა შარადას
მარტო სიგრძე აქვს ნაკლია!)
ჩამომითვალეთ მხეცები,
ჩვენი ტყის ბინადარები,
ყველა დიდი და პატარა,
ძაღლის და კატის გვარები!
მაგრამ იმათში ერთია
დღეს ჩვენთვის მოსახმარები,
(წააგებს ვისაც ბატი ყაკს
იმასთან განაბარები!)
კოწია თუმანიშვილსა
ჩამოგვავს გასახარები,
მიწაში უყვარს ცხოვრება
და უყარს სახლის კარები
(იქნება იუკადრისოთ
მხეცი კაცთ შესადარები,
მაგრამ გარწმუნებთ, იმდენათ
არაა გასაჯავრები!)
თანაც ამ პაწა ნადირის
კუდი არა ღირს თრევათა,
მოსჭერით, გამოგადგებათ
დიაცთა ყელსახვევათა.
შემდეგ გვჭირია ავეჯი!
ზედ ცომთა მოსაზელავი...
(მაგრამ, ვით ფოთი უწოდებს
და არა სიღნაღ-თელავი)
მასაც ანბანი ბოლოზე
ტყვილა აქვს მიკერებული
და გირჩევთ გამოიჩინოთ
დოსტაქარობა ქებული.

აქ მხოლოდ ნაზი ყვავილის
ბოლო ღა გვინდა ცალათა
და თუ თქვენ არ გსურთ მონახვა,
მოგაძებნინებთ ძალათა.
რას ქვია, ღმერთო, მომკალი,
ეს გულცივობა ბოლოსა?
ჰხამს მოშარადე სულ-მოკლე,
ქვებითამც ჩაიქოლოსა!
გათავდა! მადლი უფალსა,
მან მოგვანიჭა მხნეობა,
შარადის განსანაკვთებლათ
შრომა და მომჭირნეობა.
ხომ ხედავთ, შესდგა ერთგვარი
ქართული სიტყვის ხელობა,
რასაც წარმოშობს სიკოტრე
და ნიჭთა მოუსვლელობა?
რასაც ხელს უწყობს სიუქმე
და არა მოუცლელობა,
რომელიც, საქმე ძნიადი,
უბრალო გახდა ხელობა!
ყველას ფეხებზე ჰკიდია
ამ დარგში საქმის ძნელობა,
ოღონდ კმაროდეს მელანი,
ქაღალდის საძირკველობა,
თავთ უბადრუკი აზრები,
და თანაც ენა-ჭრილობა,
(ზოგჯერ და ზოგიერთისთვის
უცილო ჭკუა-თხელობა)
რომ ამა დარგის მოხელემ
გამოიჩინოს ქველობა,
შეჰქმნას საგანნი, რომელთა
ვარჩიოთ დაუთვლელობა,
რამეთუ ამა მოხელეთ
თუ სწყალობს გამომცემლობა,
თუ კი ქაღალდი იშოვეს
და ,,შექმნას'' მისცეს მსვლელობა,
ვერ გაჩერებს ვერარა
რჩევა-თა დამხარჯველობა,
ვერ გასჭრის ვერავითარი
სიტყვის კილო და მწველობა.
აქ კი გავჩუმდეთ, შარადას
ფრიად დაეტყო გძელობა,
ახლა ნიჭს (გამომცნობელთა)
მივცეთ საჭირო მსვლელობა.

კოლო.



მილიუკოვი და კონსტიტუცია.

(სატირიკ.).

მილიუკოვმა ერთ თავისს მეგობარს უთხრა:

—მე შენ დაგიმტკიცებ, რომ რუსეთში უ-ქველათ არის კონსტიტუციაო.

მივიდნენ გოროდოვოისთან.

—გამიგონე ძმობილო, გვითხარი თუ ღმერთი გწამს, ხომ არის რუსეთში კონსტიტუცია? შეეკით ხა ზრდილობიანათ მილიუკოვი.

—მე შენ გიჩვენებ კონ... დაიღრიალა გულ-მოსულმა დარაჯმა.

—აი, ხედავ? მხიარულათ შესძახა მილიუკოვ-მა, რაკი მიჩვენებს სჩანს რომ ყოფილა კონსტი-ტუცია!



* * *

გული, ძმავ, გული გამიხსენიო.
შიგ ჩამახედე, მსურს წავიკითხო
განვლილ ცხოვრების ჩანაწერიო.
მწვავე წარსულმა რა გიწყალობა,
უსასოება, თუ იმედიო,
მითხარ, მე მტანჯავს შენი ბედიო. .
აგრე მკითხავდი მაშინ მეგობარს
ჩაფიქრებულსა არესთან ერთად,
კაეშნით მოცულს და თითქმის გულმკვდარს.
პასუხათ მდელომ ამოიგვნეშა,
კაშკაშა მთვარემ სხივები გტყორცნა,
შუქურმაც ცოდან ნაზათ ჩაგკოცნა...
მე კი ვიჯექი უხმოთ, მდუმარე,
თითქოს შენი ხმა არც კი მსმენია
და ჩემებრ დუმდა იქ არე მარე...

. . . . .

ვერც ახლა, ძმაო, ვერა ძვირფასო,
პასუხს ვერ მოგცემ, გულს ვერ გაგიხსნი
სევდის არტახებს ვეღარ ავიხსნი.
ძმაფრმა ტალღებმა რაც ჩამიწერა,
საიდუმლოთ მაქვს, მზეს ვერ ვანახვებ...
მას მივ ნდევი მე ბედის წერა:
უნდა ვატარო ის ობოლ გულში,
თავს გევლო უნდა, როგორც ფარვანა
ხან სიხარული, ხან ქმუნვის ნანა
უნდა ვუმღერო.., უნდა ვუმღერო...
არსება ჩემი უნდა ვამსხვერპლო,
გუნდრუკი ვუწვა, ჩანგი ვუჟღერო...

იქნებ ოდესმე ნათელიც ნახოს,
გულს დაკუბული გადმოვანთხიო
და არტახები დავფხრიწ-დავხიო,
თან წარღვნის დროშა ავაფრიალო,
კვლავ მოვავლინო ქვეყნის წამრეკი
მქუხარე ზღვირთნი ავაგრიალო...
მაშინ შენც ნახავ ჩემს გულის ნადებს,
ძმაო ძვირფასო და მეგობარო,
ჩემო ერთგულო, ტკბილ საგონარო...
ეხლა კი... ეხლა ნუ მკითხავ ასე...
ნუ გსურს გამახსნა ტანჯული გული
იდუმალ ზრახვით, ფიქრით აღსავსე...
რათ გიშლი ამას? ვფიცავ—არ ვიცი..
იქნებ იმისთვის, რომ მისი ბედი
მეც თვითონ არ მწამს, არ მაქვს იმედი!..
ან იქნებ მისთვის, რომ არ მსურს ჩრდილი
ჩემი გულისა—შენც გიზიარო
ისედაც ნატანჯს გიძღვნა გულს მღილი.
არ ვიცი. . არა! გთხოვ პასუხს ნუ მთხოვ...
დე, ვიყო ჩემთვის, დამტოვე ასე
იდუმალ ზრახვით, ფიქრით აღსავსე...

ვ. მალაქიაშვილი

მოკითხვის უსტარი ეშმაკისადმი.

(გურიიდგან)

ეშმაკოჯან წაიკითხე
კვლავ მოგწერო უსტარიო,
უტუიას სანუგეშო
ერთად-ერთი ის არიო.

საყვარელო ბიძია ეშმაკო!

ოზურგეთიდან წამოსვლა არ მინდოდა. მსურდა ერთხანს დავმტკბარიყავი სამოქალაქო სკოლის ბოწაფეთა სიხარულით—მინდოდა აგრეთვე მეყურებია, თუ რამდენი მომჩივანი წარუდგებოდა კავკასიის „პოპიჩიტელს“ მინდოდა ჩემის თვალით მენახა, თუ რამდენ უყურო მოსწავლე ყრმებს უჩვენებდენ კულ-მწუხარე მშობლები, მაგრამ საქმე გამიჩნდა სამური, აკეთიდან შიკრიკი მეახლა და მიბრძანა „არ დაყოვნება ხანისა“, დავემორჩილე ბედს, დავადექი ქუთაისის ქუჩას (რომელიც ერთხელ შოშიტაიშვილს რომ ქორწილი ჰქონდა, ქორწილის წეიილში ფრიად პოეტურათ შეამკო მელქისედეკ თონელმა) ვიარე პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ, ავცდი რა გაკირულის ხიდს, გული ჩემი კვლავ ღივსო სიხარულით, ვნახე ადგილი გადამწვარი, ალხი დაფიქრებული-დაღონებული, ოდესაც ნაცლათ იკუნცხებოდენ ხალიისა ქვეშ—იყვნენ გავრებაში, მაგრამ ყველაფერს იობის მოთმინებით ტანდენ, რადგან ელოდენ ბ-ნი ჯაბადარისაგან ცნობის ფურცელში“ დამწვართა სასარგებლოთ ენაგროვებ ფულს. აქ ხმა გაევრცელებინათ, რომ ჯაბადარს ესე ფულები შენახული ჰქონია „ინგლიის“ ბანკში და ეხლა იქ არის წასული ჩამოსატანათო. არ ვიცი რამდენათ მართალია ეს ამბავი, ვიცი მხოლოთ, რომ დამწვრები მოელიან იმ ფულებს, რომლებიც მათდა სასარგებლოთ შეიკრიბა და მათ არ მიუღია და რომლის შესახებაც დიდებულათ სდუმნან ქვეყნის ჭირისუფლათ მოვლინებულნი.

გავიარე ქუჩა მიმწვარეთი, გავცდი ქალაქის „ჩეტას“, რომელიც ეხლა ძრიელ გაუფართოებიათ „მოქალაქეთა“ სახელის მოტრფიალე მენაბდეებს. გავიარე იმ ადგილას, სადაც წინათ სოლომანის „შუამავალი“ იყო. გამახსენდა ვიღაც ბრიყვი ამ „შუამავალის“ ანგარიშს გაზეთით ეძიებდა. მაგრამ არავინ ჰყო ღირსი პასუხისა. გაუარე დვაბზუის კანცელარიას, „ვადადიანებული“ მამასახლისი მათრახს დამდურებოდა და მისთვის ბოიკოტი გაეკეთებინა. ძრიელ მეწყინა, რომ ეშმაკს ერთი ერთგული აკლდებოდა და კაცობას იწყებდა.

მამასახლისსა არ შვენის
ხელში არ ეპყრას მათრახი,
და გლეხებს ისე არ სცემდეს
ვით ძროხებს კარგი სალახი.

გავიარე მშვიდობით ნატანების უწყალო ხიდეზე, ისე გადავლახე ნასაკირალის ქედი, რომ არც არავის გაუძარცვივარ და არც არავის მოუკლავარ. ჩავედი საწყალ მომწვარ ნაგომარში. ეს დაბა როდისმე დაბობდა, მაგრამ მას შემდეგ, რაც კრილოვმა განახლების ოპერაცია უყო, ძრიელ ჩამოქვეითდა. ახლა როგორც იყო მაინც მოეშენებიაო ორიოდე ტარანის გასასყიდი დუქნები და სამიკიტნოები. დავიწყიათ მხოლოთ, განეახლებიათ ოდესმე მშვენიერი ბიბლიოთეკა შენობა, რომლის დამწვარი კედელი საცოდავათ დაყუდებულა.

ნაგომრიდან აკეთისაკენ გადაუხვიე, გავედი ნავზე და პირდაპირ კანცელარიაზე მივედი.—ყოჩაღი მამასახლისი პავლე აღარ დამხვდა, ის 18 წელიწადი ემსახურა სოფელს, მაგრამ „სოფელმა იგი ვერ იცნო“. ახლათ არჩეული მამასახლისი, თავისი მწერლით, მასაყის შემდეგ დასასვენებლათ ჩაუბრძანებიათ და სოფელსაც ეგზეკუციით ემუქრებიან.

მოგეხსენებათ, აკეთში ერთ დროს, როცა გურიაში მასწავლებლები მასწავლებლობდენ და არა „მაწვალებლობდენ“, აისებობდა „გურიის სახალხო წიგნთსაცავ-სამკითხველო“ მთელი გურიისათვის. სამკითხველოს ჰქონდა საკუთარი შენობა, ავეჯი და ძვირფასი წიგნები. დღეს კი რას ვხედავთ: არც სამკითხველო და არც წიგნები—ყველაფერი გამქრალა. მოდი და ამის შემდეგ აკეთელი კულტუროსნების იწამე რამე.—საცა არ იყო, იქ დააარსეს, საცა არ ქონდათ, იქ შეიძინეს, ამათ კი შენაძენი გაუოხრებიათ—სამკითხველოს მაგივრათ „ჩერეზტიომნი“ და „დავ-დავბასე“ გაუჩაღებიათ. მეც ყველას თავთავაზე მთრახი და სევდიანი გულის გასართობათ გაგვრისაკენ გავყევი.

შენი უღირსი მოტიქული **უტუ**??

მეს ტვირული.

ხელში მიჭირავს ქამანჩა
გავბერავ ნეოა-ნელათა,
დაუკრავ, დავაზუზუნებ
სიტყვას არ ვიტყვი ჭრელათა,
სწორეთ დავმღერავ იმასა,
რაც გულში მიძევს ძველათა,
და თუ არა ვსთქვი, ეშმაკი
გასწყრება უეჭველათა.
(თუნდა არც გაწყრეს ეშმაკი,
გულში შესობა მწველათა),
მინდა ვეწვიო ქალაქის
„უპრავას“ სამღერელათა,
მოუთხრო მისგან რაიცა
ხალხისთვის არის მკვლელათა,
რადგან მას სახვენ მცხოვრებთა
გაჭირვებისგან მხსნელათა,
და ვაჭრებისა სასტიკი
თავზე მდგომარე მცველათა.
სასწორნი გამოუცვალა
სისწორის საძირკველათა...
ესრე იხმარა მან ხერხი
მატყუარით დამთრგუნელათა
მეპურეებსა და ყასბებს
თავზე დაატყდა ბედლათა

ამ საშუალებამ მცხოვრებლებს
სულ ჩაუარა ტყულათა,
(რადგან ვაჭრებმაც იციან
საქმე ხერხდება ფულათა,
კონვერტი, მას შიგ ქანქარი
ქრთამია დაფარულათა!)
კარგად იციან მათი ზნე,
კანონს რა უძევს რჯულათა,
ესე აქვთ გარდაწყვეტილი
მიართვან დიდებულათა,
მათა ჰგონიათ: მცხოვრებლებს
არა ესმით რა ყურათა;
(რაც კი რამ ხდება შიგნითა,
ყველა იციან სრულათა!)
ესე ამ რიგათ ყასბებმა
შეკრეს საერთო პირია,
ნიხრი მიაბეს კედელზე,
როგორც ახუნას ვირია...
ნიხრი იეფად გვიცხადებს,
ხორცი კი ისევ ძვირია,
ამ ნიხრზე ხორცის შეძენა
ძალიან გასაჭირია,
თუ არ გაფრთხილდი, მაშინვე
მოგხვდება ცულის პირია;
ამისა გამო ყასბებში
ჩხუბი ყოველთვის ხშირია,
ისევ შენ, ჩვენო ეშმაკო,
გაჰკარი ვისაც სჭირია!..
ახლა მეპურეს მივუმღერ
რაჰველებს ფარახელებსა,
რომელნიც პურის საბადლოთ
სასწორზე სწონენ ხელებსა,
ნიხრი მიუკრავთ უკულმა,
სთხოვ და გიჩვენებს ძველებსა,
შაურის პური თუ გინდა,
სამ ჩეთვერს მოგაშველებსა.
თუ უთხარ რამე ამაზე,
ნელ-ნელა ჩაახველებსა,
გადმოგიხტება დახლიდან
და გვერდებს გაგიცხელებსა...
არ აწყენს ვგონებ მათრახი
არც ამათ ბეჭებს სქელებსა,
თუ შენ არ ქენი, უპრავა
საქმეს არ კიდებს ხელებსა.
კიდევ დაუკრავ მე სტვირსა
ვიდრე გუდაში ქარია,
უბრალოთ რისთვის დავსცალო
ჩანაბერ ამაგდარია?
მინდა ამ დაკვრით მოვნახო

ნაცნობი ბანკის კარია
და იქაც შევილიღინო
ორიოდ სიტყვა მტბარია.
ვკითხო: ის ჩემი ,,რეცეპტი''
ვის როგორ მოუხმარია?
სენი გაჰკურნა თუ უფრო
სენმა ნამეტან დირია,
თუ ვნახე კიდევ სჭირიათ
თითო მათრახიც ჰკარია.

ა. განჯის-კარელი.

,,სახელმწიფო დუმის თმემჯდომარის ამხანაგმა თავად-მა ვოლკონსკიმ განიზრახა: პრესის წარმომადგენელთა ად-გილს მოაჯირი გაუკეთოს, და ამგვარათ დაუხშოს გზა დუ-მის კულუარებში შემოსასვლელათ''



საუცხოვო მოგონება
(სატირი).

— ბატონებო, რასა შვებით, ეს რა ამბავია?

— არაფერს. ჩვენ დუმის წევრებიცა ვართ და იმავე დროს ჟურნალისტებიც. გაზეთებში ვწერთ. ამიტომ ერთსა და იმავე დროს გვიხდება ორივე ალაგას ყოფნა. ჩვენც სადეპუტატო ნახევარი დუ-მის კულუარებში გვაქვს და სამწერლო კი მოაჯირს გადაღმა.



განათლებული მონადირე ველურ ქვეყანაში!

*
* *

ძმავ მეგობარო, ნუ გაიკვირებ,
რომ ჩემს მღერაში გაისმის კვნესა,—
მე ვგლოვობ, ვტირი სიზმარებრ განვლილს
თავისუფლების ბედნიერ დღესა.

—

მოითმინევი!.. მალე შესწყდება
გამოძახილი გულის სახმილის
და გაისმება სულ სხვა ჰანგები
ჩაწნული სხივთან რიჟრაჟა დილის.

დ. თურდოსპირელი.

არქეოლოგიური ნაშთი.

(„ეშმაკის მათრიხის" რედაქციის არხივებში აღმოჩნდა ეს ფრიად საგულისხმიერო დოკუმენტი ჩვენის წარსულისა. ის ალბად შეეხება მესამე საუკუნეს ქრისტეს დაბადებამდე და ჩვენც ვბეჭდავთ ქართულ საარქეოლოგიო საზოგადოების ს-ყურადღებოთ).

შირის-შირი.

რა შემოსავალი ქონდა აქამდის სოფ. მღვდლებს:

ა. ნათვლისათვის ერთი აბაზიდან ერთ მანეთამ-დის და სადილი.

ბ. ქორწინებისათვის იღებდენ ერთი მანეთი-დამ ოც მანეთამდის და ზოგჯერ სამ თუმნამდის.

გ. მიცვალებულის დამარხვისათვის სამი მანე-თიდამ ოც მანეთამდის და ზოგჯერ სამიდამ ოთხ თუმნამდის გარდა ამისა ნიშანი იცოდენ.

დ. აიაზმისა და ზეთის კურთხევისა ეძლეოდათ სურვილისამებრ მისი წამლისა.

ე. მეხუთე აღდგომის ულუფა იციან ზემო მხარ-შიდ: ხორცი კვერცხი ღვინო პური გამოცხობილი რომელიცა ეღირება მაგალითად სამ აბაზიდან ხუთ აბაზამდის.

ვ. წირვას ვინც ისურვებს ერთი ან ორი აბა-ზი და სადილი.

ზ. საკურთხისაგან ნახევარი და მეტიც. პური ღვინო და ხორცეული.

ჱ. მოწმობისათვის სარგვირგვინოისა, წლოვა-ნობისათვის ორი აბაზიდან ორ მანეთამდის.

თ. ალაპზედ პური ხორცი და ტყავი საკლა-ვისა.

ი. ზიარების მიღებისათვის ორი შაურიდან ოთხ შაურამდე ადგილ-ადგილ.

ია სამღრთო რომ ექმნებოდა ვისმეს ერთი აბაზი პური ხორცი და ტყავი.

რა უნდა მისცენ მრევლმან მღვდლებს დრამის გარდამხდელმან კომლზედ ორ ორი მანეთი.

ა. ნათვლისათვის თუ ინებოს ნათლიამ ჩუქება მღვდლისთვის მისი ნება არს აჩუქოს სადილი კი აჭამოს მღვდელს მისის კრებულით.

ბ. ქორწინებისათვის პირველიდგან სამ მანე-თამდის და სადილი.

გ. დამარხვისათვის ოთხ მანეთიდან ათ მანე-თამდის შეძლების გვარად ვინც ოთხ მანეთს მის-ცემს ყოველი წესი აუგოს ტირილზედ დაადგეს და ორჯერ უწიროს ათ მანეთში ხუთი უწიროს ვინც მომეტებულს აწირვიებს ცალკე გაურიგდეს სო-ფელმა ორი კაცი აარჩიოს და ამ ორმა კაცმა გა-არჩიოს შეძლებული და შეუძლებელი პატარა ბავშს პირველიდგან ექვს წლამდის წესის ასაგები ორი

მანეთი და ერთი წირვა მერმე კი როგორც დიდი შეძლებული და შეუძლებელი.

დ. აღდგომის ულუფა ან თავისი სინდისით და ან ნახევარი მის რაც აქობამდის იყო

ე. საკურთხისაგან მესამედი რაც მოიტანოს საკურთხად.

ვ. აღაპისაგან ნახევარი იმისა რაც უწინ ეძლეოდათ.

ზ სალმრთო წირვა თუ აქვს სადილი აქამოს და ათი შაური მისცეს ან ზედაში სეფისკვერი სანთელი საკმეველი თუ მიუტანოს ხუთი შაური.

Ѳ. საგვირგვინო მოწმობისათვის ნახევარი მანეთი.

*
* *

ცავ, მოპირქუშდი მრისხანეთ,
შემოიბურე წყვდიადი,
დაუხშე მიწას სინათლე,
მოუსპე მას განთიადი.

—

გადმოუვლინე სანაცვლოთ
მრისხანე წვიმა, ხმიანი,
ხშირი და შეუწყვეტელი
სუსხიან ქარიშხლიანი.

—

წალეკე დაუზოგავათ,
ყოველი მრუდე ნაშენი,
არსად გაუშვა რამ ნაშთი
უსამართლობის დამშვენი.

—

მეხო, იგრგვინე მრისხანეთ,
დასჭექე, დაიგრიალე,
უსამართლობის ზღუდენი
გააოხრ-გაატიალე.

—

ქარო, გრიგალო, დაქროლე
მკაცრად და მედგარ ფრთიანად
რომ ყოველივე ბოროტი
წაჰგავთ სულ ერთიანად.

სიმართლიშვილი.

პასუხათ „დიდი ჯიხაისის, ქსენონ-აფთიაქის კომიტეტეს.

ჩემს მესტვირულს, ძლიერ აუღელვებია, ბ. ბ. ქსენონ აფთიაქის კომიტეტები. გამოდის თითქო მათ მე ცილს ვსწამებდე. არა ბატონებო, თქვენთვის ცილი არ დამიწამებია. და არც განზრახ მდომებია თქვენთვის ჩირქის მოცხება, არამედ მე შევეხე თქვენს მოქმედებას „გაკვრით,“ რამდენათაც ამას, მოითხოვდა, საზოგადო საქმის ინტერესი რომელ ც აქამდის, ბურუსით, იყო მოცული როგორც ამას თქვენცა ბძანებთ. ჩემს მესტვირულში მოგახსენებდით:

1, ორი წელიწადი გადის, რაც თქვენ, კომიტეტებათ ხართ, და ამ დროის განმავლობაში, საზოგადოებისათვის ქსენონ-აფთიაქის ანგარიში არ მიგიციათ მიუხედავათ იმისა რომ, ხალხს ძრიელ აინტერესებს გაიგოს თუ რა მდგომარეობა შია ეს ორი იმათი დაწესებულება.

2, ჩემი მესტვირული მოგახსენებდათ „ქანქრებზე“ რომელსაც თქვენ ხალხის დაუკითხავათ ხარჯავთ, როგორც მოგესურვებათ, უეკონომიოთ, და ისე ექკევით საზოგადოების ქონებას, როგორც საკუთარს.

3, ჩემი მესტვირული, მოგახსენებდათ წამლების ფასების მომატებაზე, რომელიც ეშმარიტება აოის. როცა საზოგადოებამ, ქსენონ-აფთიაქი, გახსნა და ექიმი მოიწვია 1906 წელში, თქვენ არ ბძენდებოდით კომიტეტებათ. („თქვენ აგირჩიეს შემდეგ ტოლმარევის ჯიხაიში ჩამოსვლისა“). მანემდის თუ წამალი უჯდებოდათ საზოგადოებას ათი შაური, ახლა უჯდება მანეთი, მანეთ ნახევარი, რაიც თქვენ თვითონ მიუმატეთ თქვენის შეხედულებით. და რაიცა მძიმე ტვირთად, აწვება საზოგადოებას.

რაც შეეხება თქვენ მიერ მოხსენებულს ბნელი ძალების გაძლიერებას, რომელთაც სურთ ძირი გამოუთხარონ ამ კულტურულ დაწესებულებას, ამის მიზეზი თვითონ თქვენ ბძანდებით ბატონნო კომიტეტნო; რადგან თქვენის მოქმედებით იწვევთ მას, ჩემი აზრით. ეს მანემდის იქნება, სანამ თვითონ ხალხი არ ჩაუდგება სათავეში ამ საქმეს, ან უკეთ რომ ვსთქვათ, თავს არ დაახწევს თქვენისთანა მოამაგე აპეკუნებს.

დასასრულ მოგახსენებთ მედიატორების შესახებაც. რადგან მე არა მაქვს თქვენი სრული რწმენა, წინადადებას გაძლევთ პირველად დაასახელოთ თქვენი მედიატორები. მე ვეცდები დაგისაბუთოთ ეს ბრალდებები და აშკარა ვყო თქვენი შეუფერებელი მოქმედებანი თუ კი ეს ვისმესთვის კიდევ შეადგენს საიდუმლოს *).

„კიკოლა ბიჭი“.

*) ამით სპობს რედაქცია ამ საგანზე კამათს. ჩვენ დავბეჭდავთ მხოლოდ მედიატორეთა სახელსა და გვარებს და მათ განაჩენს. რედ.

წერილები ეშმაკისადმი

სამტრედია. გასაოცარი ამბავია თქვენმა მზემ! ადგილობრივი «წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» გამგეობა რამდენი ხანია საღათას ძილს შეუპყრია. (საღათას ძილი, როგორც ექიმები ამბობენ იგივე და იგი ლიტარგიული ძილიაო) ვერავითარმა „კაპლებმა“ ისინი გონს ვერ მოიყვანა. ახლა, როგორც გადმომცეს სარწმუნო წყაროებიდან, ზოგიერთ გარეშე, მაგრამ გულ-შემატკივარ პირებს განუზრახავთ გამოიწვერონ „ეშმაკის მათრახი“. იმედი აქვთ ეს საშვალება უთუოდ გასჭრის. ვნახოთ.

ხეჩო

—

ოზურგეთი გურიაში კარგათ ცნობილი კომისიონერი*) მ ნაკაშიძე, ახლო მომავალში შეკითხვის შეტანას აპირობს დუმაში: როგორც ამბობენ შეკითხვა ფრიად საინტერესო იქნება. ის შეეხება ზოგიერთ ბოქაულთა საღმრთო მოღვაწეობას. ცნობილია მაგალითად, რომ ბოქაულები, მაჰმადიან სტრაჟნიკთა დახმარებით ეკლესიაში სალოცავად მიდენიან ქრისტიანებს. ამისათვის საჭიროა სინოდმა ასეთ ბოქაულებს რაიმე ჯილდო დაუნიშნოსო.

ხმა.

—

კუხი. წერა რომ დავიწყე გადაწყვეტილი მქონდა თქვენთვის ჩვენი მწერალ მამასახლისი გამეცნო, მაგრამ ბოლოს გადავიფქრე და აი რატომ. ბ-ნო ეშმაკო, მე რომ თქვენ ისინი გაგაცნო, სამაგიეროთ თქვენ ჩემს თავს იმათ ხომ არ გააცნობთ? ეს იმიტომ მოგახსენეთ, რომ ძლიერ მეშინია მათი რისხვისა და განა მარტო მე მეშინია? ჩაიმასქნა, გაიმასქნა, გამოიმასქნა და შეიმასქნა ამათი მოგონილია. მშვიდობით.

პრომა.

*) ალბათ ეს ჩვეულებრივი დაუდევრობაა დეპეშათა სააგენტოსი. გურიაში იცნობენ პატივცემულ მ. ნაკაშიძეს, როგორც «მიაიონერს» და არა როგორც „კამისიონერს“.

ეშმაკი.

გუბი. გაბედულება არ შეაკლია, ძმაო ეშმაკო, მაგრამ იმას გადაჭრით მაინც ვერ ვიტყვი, თუ რისთვის ყავს აშვებული ი ვირის ოდენა ძაღლები დიდი გუბის აფთიაქარს. აქ მოსაზრება ბევრნაირი შეიძლება. მაგალ თუ საღამო ხანს საქმე დაგიჩა და ეზოში ჩადი, მგონი სულ აღარ გეყოს აფთიაქის წამლები ისეთ საქმეს დაგაყენებენ ეს მკბენარები. მაშ შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ძაღლები წამლის გასასაღებლათ ყავს პატრონსო, მაგრამ აი მეორე მოსაზრება: მზე რო დასავლისკენ გადადგება და პატრონი ძაღლებს აუშვებს, შიშით აფთიაქს ბევრი ველარავინ უდგება და უწამლოთ იცდის. მასადამე იფიქრებს კაცი, რომ ძაღლები პატრონს მუშტრების გასაფანტავათ თუ დასაშინებლათ ყავსო.

ყოველ შემთხვევაში აქ ფიქრით კიდევ გახდები რასმე, ასეთს ან ისეთს დისკვნას მაინც გამოიტან, მაგრამ ათასიც იფიქრო, ათასი თავი იტეხო გუბის სამკითხველოს ამბავს ვერას მამაოჩვენობით ვერ გაიგებ. ამის მისაღწევათ მხოლოდ ერთად ერთი საშვალებაა, — ეს ლადოს ნახვა. მაგრამ ლადოს მონახვას აღარ იკითხავ?! იკითხე თუ გნებავს, მე შენ გითხრა მაშინვე არ ნახო. ის ან ქუთაისში კი იქნება, ან ჭიათურაში ან ფოთ-ბათუმში და ან სხვაგან სადმე.

გაბედული მეთვალყურე.

—

დ. ხაშური. ძმაო ეშმაკო! დიდი მოძრაობაა ამ ჟამათ ხაშურში. მაგრამ „მოძრაობა რასაკვირველია სხვანაირი, სხვა ნიადაგზე აღმოცენებული. ამოძრავდენ ის გვამები, როლებსაც შენი მათრახი მოხვდათ და ყველანი: „შუაზე გაწიწკვნით,“ „წახრჩობით“ და ვინ მოსთვლის კიდევ რანაირი სასჯელით არ ემუქრებიან ახლად გაეშმაკებულს, გ—ლის და წარმოიდგინეთ ბევრს სხვა, სრულებით ღუდანაშულო პირებს? როდესაც პირველთა ვინაობას ვეღარ იგებენ, შემდეგ მუქარა გადაავქთ „მათრახ-სალამურის“ რედაქციაზე.

ამ დღეებში ერთი ვაჟბატონი თავის ნაცნობს, — იას ეუბნება გულუბრყვილოთ: — „დასწყევლოს ღმე-

რომ, ეგზეთში ჩავდება რა მოიგონეს?.. ვიღაცას ჩოუგდივარ „ეშმაკის მათრახში“ (ასე ეძახიან): „ძალიან ავათ გვყავს, ენა დაუგძელდაო.“ ჰა, ისეთიც რა უთხრა მას... 7—8 წელიწადია ფრჩხილი არ წამომტკენია... ენის ტკივილის კი მიდღემჩი არა ვიცი-რა, დოხტურის სახლი არ ვიცი სად არისო“... ნაცნობმა აუხსნა მას, თუ რას ნიშნავს ენის დაგძელებაო, — ამ განმარტების გაგონებაზე ის ძალიან გაბრაზდა. აღარ იცოდა რა ექნა. გადარეულივით ხტოდა მაღლა და თან ყვიროდა: ვიცი ეს ვისი დაწერილიც არის, მას «ლაციროვანი» ჩექმები აცვია, (ძალიან არ ცოდნია?), მას მე უჩვენებ თავის სეირს!.. წავახრჩობ!.. ყველას დავათხოვინებო და სხვ..

ს. ბ—ლში კი, ვინ მოსთვლის რამდენ ლობეყორეს მიეხალა, რამდენ კაცს სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რამდენი ლანძღა და ბოლოს კი ოფილისისკენ გასწია პირველი მატარებლით.—იქ დიდი, — რედახტორის სისხო კაცი მყავს ნაცნობი და იმას შეუჩენ რედაქციას, რომ გ—ლის ვინაობა გამიგოს, და შემდეგ მე ვიცი ვის რას უზამო...“ და სხვა...

ასე გაბრაზებული ეხეთქებიან იქით აქეთ სხვებიც. ზოგი მათგანი თავიანთ დანაშაულსაც კი აღიარებენ...

ასეა ძმაო, ეშმაკო, აქ საქმე, მაგრამ მიუხედავათ ამისა, უმთრახოთ მაინც ვერ დავტოვებ მათ პატივცემულ ზურგს. ყველანი, ყოველთვის თავის კუთვნეულს მიიღებენ, და ამისთვის კი, ნურაფერს უკაცრავად...

აბა როგორ არ უნდა გადასვცხოთ თუნდ ორმოციოდე მათრახი მაინც «სახალხო უნივერსიტეტის მომწესრიგებელ კომისიას»? მათ საქმის მოწესრიგებას სრულებით გაანებეს თავი და თუმც მრავალჯელ შეეკითხა პირადათ მათ და აგრეთვე გაზეთის საშვალებითაც, ხალხი: ,,რა ბედი ეწია სახ. უნივერსიტეტს ან მოკრეფილ ფულსაო‘‘, მაგრამ ისინი მაინც სრული ორი წელიწადია სიჩუმით უპასუხებენ. ხომ იცი? ოჩანი ხარი, როდესაც უღელს არ მიაწვება, — მას სახრეს გადაკრავენ; ხოლო ჩვენ კი, ასეთ გვამებს ეშმაკის მათრახით უმასპინძლდებით.

უმათრახოთ ვერ დავტოვებთ აგრეთვე მიხაილოვის დეპოს და ,,რემონტის‘‘ განყოფილების ხელოსნების ერთ ჯგუფს, რადგან ისინი კონკურენციას უწევენ და კერძო სამუშეკრეს ხელიდან სტაცებენ აქაურ, უმუშეკრათ დარჩენილ მუშებს, რითაც საარსებო საშვალებას უსპობენ- მათ

ახლად გაეშმაკებული.

—

სურამი. ამ დღეებში აქ ხმა გავრცელდა: ხაშურელებს სურამის პროგიმნაზიის მოტაცება უნდათო. ამის გამო ბ. მაჭავარიანმა პროგიმნაზიის შენობა ოთხივ კუთხით მაგრათ დაბა მავთულებით და თან გაძლიერებული რაზმი დააყენა შენობის დასაცავათ. ასე, რომ პროგიმნაზიის დაძვრა სურამიდან, ახლა ყოვლად შეუძლებელია; ხოლო დაცლას კი ყველა მოელის.

ახ. გაეშ.

ხონი. სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ჩამოსვლამ ხონის საქმე დიდათ წასწია წინ. ვაჭრობამ საგრძნობლათ აიწია. მეტადრე ბლომათ გაიყიდა წმინდა სანთლები, რომლებსაც მასწავლებლები ანთებენ მშვიდობით გადარჩენისათვის. ეს მადლობა არ არის უმიზეზო. როგორც ამბობენ მზრუნველის ჩამოსვლამ 9 ადგილობრივ. მასწავლებელს შეუწუხა გული. (ერთ მათგანს, როგორც შემდეგ გამოირკვა, ეს მარცხი სიმთრალით მოსვლოდა და არა შიშით.)

პროლ. ეშმაკი.

—

იქიდანვე. ხონის მსხვილ მწარმოებლებს საბოლოოთ გადაუწყვეტიათ ქუთაისამდე ავტომობილის ნაცვლათ ბლერიოთი იმოგზაურონ. ამ მიზნით მოახდინეს კრება და დაადგინეს გამოიწერონ ქუთაისიდან, ან სამტრედიიდან 5—7 ბლერიო. ერთმა დამსწრეთაგანმა, რომელიც კარგათ იცნობს ჰაერში ფრენის საქმ,ს (ვინაიდან ორჯერ გადმოუგდიათ მეორე სართულის ბალკონიდან) ეჭვი გამოსთქვა ამ საქმის სასურველათ მოგვარების შესახებ. მეორემ კი, (რომელსაც თურმე ერთხელ გაზეთი წაეკითხა) განაცხადა: ბლერიო კაცის გვარია და გასაყიდათაც ვერ იშოვნითო.

ბ. შმ.

—

ეწერი. ჩვენი მამასახლისი და მწერალი ძლიერ მოწყენილნი არიან. მიზეზათ იმას ასახელებენ, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედს მათთვის ჯიბიდან სასალდათო ახალგაზდების ფული ამოურთმევიათო. ვერ წარმოიდგენთ როგორ გავრცელდა ძარცვა გლეჯა, მამასახლისსაც აღარ ინდობენ! აი, აი, აი!!

ხეჩო!

—

შორაპანი. ადგილობრივ ახალ გაზრდობას და ძველ-გაზრდობას გადაუწყვეტიათ კარტსა და ნარდში მოგებულ წაგებულ ფულებიდან გამორიცხონ მცირე პროცენტი უფასო სამკითხველოს დასაარსებლათ. განზრახულია აგრეთვე თითო შაური გადაახდევინონ იმათ, ვინც უწმაწურ სიტყვებს იხმარს საჯაროთ. ამბობენ ამ საშვალებებით და უმთავრესად კი უკანასკნელით, იმდენი ფული მოგროვდება, რომ არა თუ ერთსა და ორს, არამედ ორმოც სამკითხველოს ეყოფაო.

პოლ ისინეს ნათლული.

—

ღები. (ზემო რაჭა) ქვეყნის მოძულება გაგვიგონია, ძმაო ეშმაკო, მაგრამ არც ამ რიგათ. ეს მოუტევებელი შეცდომაა თქვენი ეშმაკეული მათრახისა. ღმერთმა რამდენი ხანია დაგვივიწყა და იმედი გვქონდა თქვენ მაინც დაგვეპატრონებოდით. ახლა კი რას ვხედავთ: აღარც ღმერთი, აღარც ეშმაკი, მხოლოდ

ივანე პონტოლაშვილსა
ხალხი სულ დაუკბენია
(არ ვიცით კაცურ-კაცობა
როდის სად გაუფრენია!)
ვასილა ოთუკაშვილმაც

ივანეს მისცა მხარია,
(მოძმეთა თვისთა ოჯახი
ძირ-ფესვიანათ არია)
თამაზიკაშვილს ნიასაც
მაოკენ უჭირავს თვალია,
(უკეთ ვსთქვათ: იმათი კუდი
და მათი მოჩანჩალია.)
ამ ღებელ წმინდა სამებას
შენ მიეც სამართალია,
თორემ თუ ასე დასტოვე...
ვაი ღებელთა ბრალია!

ღებელი.

ჩოხატაური. თუმცა ამასაც სასწაულთ-მოქმედი ძალა აქვს, მაგრამ ჩვენი ბოქაულის მათრახმა ვერ გასჭრა ადგილობრივ მონარდ-მოკარტე ახალგაზრდებთან. ამიტომაც მოგმართავთ შენ, ჰოი სახიერო მათრახო ეშმაკისაო! მოხედე ჩვენს გასაჭირს:

„ღამე ძილი არა გვაქვს
და დღითი მოსვენება“
ესე ვაჟბატონები
ბაზრად რო ესვენება.
მათი ყვირილ ღრიალით
ალარ გვაქვს ყურთა სმენა,
ქენი მადლი, გაჰკარი
მათრახის კუდი შენა.

მერცხალი.

ძ ე გ ლ ი.

მე სიტყვა შეგოხზე, სახალხო სიტყვა,
საძეგლო ქვაზე დასწერავი,—
მასში გამოგსთქვი გულის თქმა, ტანჯვა
და მისწრაფება გაუბედავი!

შემდეგ ზოდებათ უტეუარ კალმით
მე ამოგხატე შავი გვირგვინი;
ზედ სახრჩობელა, თოფები, ტყვია
და უთვალავი თავების ზვინი!

იქვე დავხატე, სამდვოთ სამოსდით
და ჯვარით ხელში, მდოცველი მღვდელი...
ხალხო თავებ შავ ჩამალულის,
თავს ამენს მხოლოდ მგელავი გველი...

იქვე ტბა არი,—ბუკი, ჯოჯო,
ზია-მკერები ურაცხველი!
ხალხო მახლობლათ ცას სწვდების ტალღი:
ეს უდვთ თ ი ოწვის მთელი ს ფელი...
...მე ვინატრებდი მენახა იგი
სახალხო ადგილს სადმე დადგმული!

იასამანი.



წერილები რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო! ამ ხანებში ხაშურიდან მოთავსებულმა წერილებმა, ახლად გაუშაგებულის და „—ლის“ ვსვედნიმებით აქ დიდი ალაყოთი გამოიწვია. ის ბერები, რომლებსაც წერილები ეხებოდათ—ჩემს წინადადგეგ ამბობდა. ზოგი საკვლდიათ მემეჭრებოდა ზოგი ვინ მოთავლის რითი, რადგან წერილების ავტორი მე ვგონიეართ. გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ არც ერთი წერილი ხაშურიდან მე არ მეკუთნის.

კონ. ეგნატე ჯიბლაძე.

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ წერილს თქვენს პატივცემულ ჟურნალში, რომ თავი ვიმართლო უბრალო ბრალდებისაგან.

ზოგიერთი ჩემი მეგობრები*) ხმებს ავრცელებენ, თითქოს თქვენი ჟურნალის № 21 მოთავსებული „მახსენება სამტრედიიდან“ მე მეკუთნოდეს, ამისათვის ვაცხადებ მკითხველ საზოგადოების სყურადღებოთ, რომ ის წერილი მე არ მეკუთნის.

სად. სამტ. უ. კოპალეიშვილი.

„მათრახ-სალამურის“ რედაქცია ამოწმებს, რომ არც „სამტრედიის მოხსენება“ ეკუთნის ყ. კოპალეიშვილს, და არც ხაშურელი კორესპოდენციები ე. ჯჯილაძეს.



*) კარგი მეგობრობაა თქვენმა მზემ!
ეშმაკი.

*
* *

ხუნდება კაბა ზურმუხტი
კეკლუცი გაზაფხულისა;
ცა მგლოვიარობს... ცრემლები,
უხვათ სდის სიბრალულისა.

—

ჭკნება შვენების ბაღნარი,
მისწყდა ხმა, ნაზ-ბულბულისა
კვდება ხალისი... თან მიაქვს,
სილაღე ნორჩი გულისა

—

რაღაც იდუმალ-ლიკლიკით
ჩივილი ნაკადულისა
შორს, შორს გაისმის, მთაბარათ,
დამლონებელი სულისა.

—

ქარი კი... ქარი მუქარით,
დაჭრის, სისინებს ველათა;
სიტურფეს სტაცებს ქვეყანას
აკვნესებს გულ-საწველათა

გ. ქუჩიშვილი.



მათრახის ფოსტა.

დაუბეჭდავი მასალა რედაქციიდან არავის არ დაუბრუნდება.

ოზურგეთი. ფ რ თ ო ს ა ნ ს. წერილი არ იბეჭდება, რადგან თქვენი სახელი და გვარი ვერ გავარჩიეთ.

ქუთაისი. ო რ-ს ო ფ ლ ე ლ ს. არ დაიბეჭდება.

სამტრედია. ბ რ ი გ ი ნ ი ზ მ ს. თქვენი პატარა წერილი ერთობ „გაბრიგინებულია“ შინაური პოეზიით და ვშიშობთ არავინ „გიბრიგინოსთ“ მის დაბეჭდვისათვის.

იძავი. მ ჭ ვ რ ე ტ ე ლ ს. მოიღეთ მოწყალება, და გავაგებინეთ: რის შესახებ იწერებით ამ წერილში!

აბაშა. ტ ი ტ ვ ე ლ ე შ მ ა კ ს. ნუ თუ მართლა ისე გატიტვლდით, რომ საკუთარი სახელ-გვარიც გაიხადეთ? თუ არა და მაშ რატომ წერილს არ მოაწერეთ?

სადაც იყოს. ა ლ ვ ი ს ხ ე ს. ეი ნიმუშები თქვენი პოეზიისა:

„მზეო ამოდი, ამოდი რას ეფარები მაგ მთასა,
საწყალსა მუშის სადგურსა მუუახლოვდი საწყალსა
აწ კი დრო არის ამოსვლის და შენკი თითქო ძირს
მიხვალ
არ გენანება საწყალი და აგრე მასთან კიცხი ხარ.“

ასეთი ლექსები, მართალი მოგახსენოთ, ან ცალკე წიგნათ უნდა დაიბეჭდოს ან ერთად დაწვას. გაზეთებისათვის მათი დაკარგვა ცოდოა.

ქუთაისი. მ ო გ ზ ა უ რ ე შ მ ა კ ს. თქვენი წერილი „პირველი ნახვა ვალერიან გუნიასი?“ პირველი წაკითხვის შემდეგვე უარყო ეშმაკთა ზედა პალატამ.

ქუთაისი. დ ა ჩ ხ ი რ-მ ო ტ ე ე ბ უ ლ ს. თქვენი ლექსი „მე და ჩემი სალამური“ არ იბეჭდება.

ჭიათურა. გ ე ო ს. ნუ თუ ეს ალექსისა და ქეთევანას ამბავი აცოცხლებს მაგ თქვენს დაბას? გვაცნობეთ რამე ცოცხალი და საინტერესო.

გორი. ა ლ ა ძ ე ს. თქვენი ლექსი „გმირის სიკვდილზე“ არ იბეჭდება. ახლად დამწყებისათვის არ არის შეუფერებელი თქვენი ნაწარმოები, მარა ჩვენი დროისათვის კი ერთობ შეუფერებელი და მოუხერხებელია. გმირი, როგორც თქვენა სწერთ, უკვე მომკვდარა და „მათრახ-სალამურის“ სიკვდილი ჯერ ნადრევათ მიგვაჩნია.



ორი ეშმაკი.

პირველ. რატომაც არ იკადრებს?

მეორე. იმიტომ არ იკადრებს, რომ რაინდი კაცია, ღრმა თავადიშვილი, შეძლებული, (როგორც ფიზიკურათ, აგრეთვე ქონებრივათ*) იდეალისტი და ვინ იცის რამდენი რა. აბა ამისთანა კაცს რა ეშმაკათ უნდა რაღაც უბრალო ბანკის განცხადებები?

პირველ. რას ამბობ, ბოშო? ნუ თუ არ იცი, რომ გაზეთები საზოგადოთ განცხადებებით სულდ-

*) არავინ იფიქროს აქ კორექტურული შეცდომაა და „ქ“ მაგივრათ „გ“ უნდა იყოსო.

გმულობენ და ჩვენი, ჭეშმარიტ ქართული გაზეთები კი ბანკის განცხადებებით? შეუვარდებოდა მა რას იზამდა! ხუმრობა საქმეა ორი თუ ოთხი მანეთი!!!

მეორე კარგი და პატიოსანი, მაგრამ ჩხუბი და აყალ-მაყალი რაღა საჭირო იყო?

პირველ. დღეს შენ სწორეთ რომ ველარა გცნობ, მეგობარო! სად გაგიგონია შე დალოკვილო უჩ. ხუბრათ საქმის გატანა? გიორგიმაც იჩხუბა, შელანძღ. შემოლანძღა ბანკის გამგეობა და შეხედე რამდენი განცხადებები მისცეს? ამით ერთ ორ თვეს კიდევ გაატანს და შემდეგ ვინ იცის.

მეორე. ეს ამირეჯიბი კარგი, ვიცნობთ თუ გინდა, რომ ამისთანაებთან ერთობ მიდრეკილია, მაგრამ ხეჩატუროვი რაღა ეშმაკმა შეაცდინა? კაცო თავიდან ბოლომდე განცხადებებში გახვეულია და რაღა ამირეჯიბის ულუფას დახარბდა ე დალოკვილი?

პირველ. არ გაემტყუნება. მისი ხელობა განცხადებებია და ეძებს ის კაცი. აბა მე შენ გითხრა მოწინავე წერილები დაუდის და ადგილები აკლია.

მეორე. ხუმრობას გარეშე, ნუ თუ ერთი კაცი არა ყავთ, რომ თვეში ერთი მეთაური წერილი მოახრჩობიოს?

პირველ. ერთს კი არა, თუ გინდა ათასსაც, მაგრამ ჭკუიანი კაცია და უფრთხის.

მეორე. ვითომ რატომაო?

პირველ. იმიტომ რომა, მეთაურში რედაქცია თავისს ფიზიონომიას აჩენს, ის ერთგვარი სარკეა, რომელშიაც ასე თუ ისე განსახიერდება გაზეთის მიმართულება.

მეორე მერე განსახოს, ვინ უშლის?

პირველ. გამაგიჟე სწორეთ! როგორ თუ ვინ უშ. ლის, ის უშლის რომ სახე არა აქვს და თუ აქვს გამოჩენა სცხვენია.

მეორე. არა მგონია! ეს რომ ეგრე იყოს სვიმონ ყიფიანიც აღარ გამოსცემდა გაზეთს.

პირველ. რატომ?

მეორე. იმიტომ რომ ნიკო ელიავამ დაუწერა: შენ სხვაფრივ კარგი ბიჭი ხარ, მხოლოდ ლიტერატურულ დარგებში კოჭლობო.

პირველ. რომელი ლიტერატურა ქონდა ნეტავ სახეში?

მეორე. ალბათ მისი ნაკოდვილევი დრამა, რომელშიაც მოძრაობის გმირათ ვიღაც მემამულე გამოახეტა.

პირველ. ასეთი დრამისათვის უნიჭო შეიძლება ეწოდოს და არა ურიგო თუ უზნეო.

მეორე. მაშ სხვა რაღა ჯანაბა დასწერა რომ არ ვიცი!

პირველ. დასწერდა რამეს, უთუოდ დასწერდა.

მეორე. თუ დასწერა „დრამა“ იქნება, თორემ „ახალი წრე“ არ შერიცხავდა თავისს დრამატიულ ერთეულში.

პირველ. აბა რა დასწერა ნეტავი?

მეორე. მე რომ მეკითხები ის არა სჯობია თვით ნიკოს შევეკითხოთ?

პირველ. მართლა, მოდი შევიტანოთ შეკითხვა. დასწერე!

მეორე. რა დავსწერო?

პირველ. დასწერე რაც გითხრა.

„შეკითხვა ეშმაკებისა ნიკო ელიავასადმი“

ძვირფასო ნიკო ზურაბის-ძეო,
მცირეოდენი ყური გვიგდეო!
თქვენ უეჭველათ მოგხსენდებათო
(და პასუხიკა დაგშვენდებათო)
გვამცნო ჩვენ ესე საცნობელიო
რითაც დაგრჩებით მადლობელიო.
რა ,,შეჰქმნა'' სვიმონ ყიფიანმაო
მისმა კალამმა მადლიანმაო,
ისეთი რომა ,,ახალ წრესაო''
მისი წევრობა ჩირქსა ცხებსაო!
ნუ დაგვზარდები, ვარს ნუ გეტყვიო
მოთმენა არ გვაქვს ამის მეტიო.
თითონ სიმონსა, მართალიაო
თქვენი პასუხი უხარიაო,
მაგრამ ჩვენთვისა ის არ კმარაო
სჩანს აქა რაღაც დაიფარაო.
გულით მოველით განმარტებასო
და იმ პასუხის დამატებასო''.

მეორე. კარგი იკმარებს.

პირველ. როგორ მოგწონს? მე მგონია გასჭრის. ან კი რა არის ნეტავ დასამალი.

მეორე. მე მგონია...

პირველ. დროა გავათავოთ.

ეშმაკი.

1910 წლისათვის

მიიღება ხელის მოწერა

ყოველ-კვირეულ იუმორისტულ ჟურნალზე

ვინც ამ თავიდან გამოიწერს ჟურნალს და მთელი წლის ფასს შემოიტანს აგვისტოს პირველ რიცხვებში ჟურნალთან ერთათ

პრემიათ გაეგზავნება

☛ ახალი კრებული ☚

ამ კრებულში მოთავსებული იქნება: ლექსები, მოთხრობები, იუმორისტული ნაწარმოებნი და სხვა. როგორც ორგინალური ისე ნათარგმნი.

წიგნი 300 გვერდიანი იქნება, მოზრდილი ფორმატის და ეღირება 1 მ.

მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ახალგაზდა მწერლები და პოეტები.

ჟურნალის ფასი მთელი წლის **სრულად უნდა აუცილებლათ შემოიტანონ პირველ ივნისამდე.** ვინც ამ დრომდე სრულად ვერ შემოიტანს პრემიას ვერ მიიღებს. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილათ: პირველათ 2 მ. 50 კ. დანარჩენი 2 მ. 50 კ. პირველ ივნისამდე.

1910 წლის 1 იანვრიდან ჟურნალი გამოვა იმავ ფორმატით და იმავ შინაარსით. რედაქცია ეცდება გააუმჯობესოს ჟურნალი. მონაწილეობას მიღებენ: **ა. ბ. იანი, ბლიეგვმე, განჯის-ჯარელი, ეშმაკი, გოდდემარი, ზომდეოელი, თურდოსპირელი, ისაამანი, ირეთელი ჯენტი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, ზიტნა, ტ. რამიშვილი, რუხაძე, რუშაგელი, ტუქსიაშვილი, ქუჩიშვილი, შხანკოლა და სხვანი.**

ჟურნალი წლიურათ ღირს 5 მ. თვიურათ 50 კ. ცალკე ნომერი 10 კ

ფულის გამოსაგზავნი ადრესი: Тифлисъ Типографія Т-ва „Шрома“ Василію Карамановичу Болквадзе.

იყიდება „შრომის“ სტამბაში

და აგრეთვე გაეგზავნებათ მსურველთ:

1) „ეშმაკის მათრახი“ 1907 წლისა 13 ნომერი ერთად შეკერილი. . . . 1 მ. 50 კ.

2) „ეშმაკის მათრახი“ და „მათრახი“ 1908 წლისა, 35 ნომერი ერთად შეკერილი . . . . . 2 — 50

3) „ალმანახები“: აკაკი, ეშმაკი, ჯოჯოხეთი, ეშმ. მათრ., და ტარტაროზი, —სულ 10 ნომერი ერთად შეკრული . — 50

4) „ქრისტინე“, ოთხ მოქმედებიანი დრამა ე. ნინოშვილის მოთხრობიდან ბ. ირეთელისა . . . . . — 20

ვინც პროვინციებიდან გამოიწერს და ღირებულ ფასს გამოგზავნის, ფოსტის გასაგზავნი ფული არ გადახდება.

მსურველმა უნდა მიმართოს „შრომის“ სტამბაში, ვასო ბოლქვაძეს. ფულის მაგივრად ფოსტის მარკების გამოგზავნაც შეიძლება.

ელექტრო-მ^ეტდავი ამხ. „შრომა“ რუს. ქ. № 3. რედაქტორ-გამომცემელი **ე. ტურაბელიძე.**